პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲙᲣᲗᲮᲚᲔᲓᲘ: ᲬᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

# კომუნისტი

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 171 (18713) ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 27 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲝᲑᲐ

ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲙᲘᲐᲜ ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲮᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲕᲜᲔᲚ-ᲛᲝᲗᲔᲡᲕᲔᲚᲔᲑᲘ. ᲧᲝᲕᲔᲚ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲚᲔᲬᲐᲕᲔᲜ ᲗᲐᲨᲣᲐᲚᲝᲓ 28 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲔᲒᲛᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ 21,5 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ. ᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲨᲚᲘᲚ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲛᲘᲢᲝᲙᲭᲔᲝᲑᲐᲡ ᲗᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ ᲣᲪᲒᲐᲜᲐᲜ ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲔᲑᲘ Ლ. ᲐᲚᲘᲔᲕᲘ, Ა. ᲗᲐᲠᲛᲐᲛᲔᲓᲝᲕᲘ ᲓᲐ Ა. ᲐᲑᲓᲣᲚᲐᲔᲕᲘ. ᲗᲘᲗᲝᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲙᲘᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲕᲘᲐᲜᲔᲑᲡ 10 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ, ᲜᲝᲠᲛᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ 7 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲮᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲕᲜᲔᲚ-ᲛᲝᲗᲔᲡᲕᲔᲚᲔᲑᲘ. ᲧᲝᲕᲔᲚ ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲘ ᲚᲔᲬᲐᲕᲔᲜ ᲗᲐᲨᲣᲐᲚᲝᲓ 28 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲔᲒᲛᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ 21,5 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ. ᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲨᲚᲘᲚ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲛᲘᲢᲝᲙᲭᲔᲝᲑᲐᲡ ᲗᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ ᲣᲪᲒᲐᲜᲐᲜ ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲔᲑᲘ Ლ. ᲐᲚᲘᲔᲕᲘ, Ა. ᲗᲐᲠᲛᲐᲛᲔᲓᲝᲕᲘ ᲓᲐ Ა. ᲐᲑᲓᲣᲚᲐᲔᲕᲘ. ᲗᲘᲗᲝᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲙᲘᲡ ᲗᲐᲕᲗᲐᲕᲘᲐᲜᲔᲑᲡ 10 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ, ᲜᲝᲠᲛᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ 7 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ.

Გ. ᲛᲝᲠᲒᲣᲜᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ № 1 ᲢᲠᲘᲙᲝᲢᲐᲟᲘᲡ ᲥᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲩᲐᲑᲜᲔᲜ ᲒᲝᲠᲑᲩᲝᲕᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ 200 ᲬᲚᲘᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲜᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲨᲚᲘᲚ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ. ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ ᲙᲝᲢᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲑᲠᲘ�გᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ. ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲜ ᲛᲐᲗᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲖᲐᲡ. ᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲨᲚᲘᲚ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲛᲘᲢᲝᲙᲭᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲤᲝᲠ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲐᲪ ᲗᲛᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲛᲘᲪᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲔ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ. ᲯᲠᲔ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲑᲔᲠᲗᲐ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲠᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲖᲝᲒᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲣᲚᲝᲑᲐ. ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ ᲙᲝᲢᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲑᲠᲘ�გᲐᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲠᲘᲒᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲘᲠᲘ. ᲐᲠ ᲙᲛᲐᲠᲐ ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲧᲐᲚᲘᲑᲝᲗᲗ ᲙᲝᲜᲪᲔᲤᲪᲘᲐ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲗᲐᲗᲚᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲘᲒᲔᲑᲘᲗᲝᲗ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲡ ᲞᲘᲠᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲖᲝᲒᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲣᲚᲝᲑᲐ. ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ ᲙᲝᲢᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲑᲠᲘ�გᲐᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲠᲘᲒᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲘᲠᲘ. ᲐᲮᲚᲐᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲣᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲤᲝᲠ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲤᲝᲠ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲣᲚᲝᲑᲐ. ᲛᲐᲗᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲖᲐᲡ. ᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲘᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ. ᲛᲐᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲤᲝᲠ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲣᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲚᲔᲑ

## პარტიული ცხოვრება: ხელმძღვანელი და საქმე

# ორმაგად გაზრდილი სახელი

**ჩანაწერები პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომიდან**

**სალხინო** სიბრძნე ამბობს — გონიერი კაცი ქვეყანას ამშვენებს, უგუნური კი ამძიმებსო. ეს სიბრძნე ცხოვრების გაკვთილიდ არის ნაკარნახევი. იგი ჩვენს მამაპაპათაგან ითქვა და არც დღეს დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ამას ქობულეთის რაიონის ბობოყვათის კოლმეურნეობის მშრომელებიც დაადასტურებენ. სოფელს თითქმის დაებედა, წინამძღოლად მუდამ შრომისმოყვარე, სიახლეების მაძებარი, საკუთარ სოფელზე შეყვარებული ადამიანები ჰყოლოდა.

ბობოყვათელი დროული კაცები რომ შეეკრიბებიან და ძველს გიიხსენებენ, ახალგაზრდებს სანეზე ღიმილი გადაეფინებათ ხოლმე. მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ ჩვენში სიღარიბე სუფევდა, რომ იმ გარიჟრაჟის პირველ წლებში მარტო კომუნისტები კი არა, კომკავშირელებიც იარაღს ატარებდნენ, რათა თავიც დაეცვათ და ახალფეხადგმული კოლმეურნეობაც. მაშინ სად იყო გზა, ან ქვიტკირის ოდა-სახლები. ისლით დახურული ფაცხები, ჭრაქი და ციება — აი მაშინდელი ბობოყვათი.

ახლა მოასფალტებული გზა მდინარეს მისდევს, მდინარის გაღმა-გამოღმა გორაკებზე შეფენილა მხარგამლილი სოფელი. აშენდა სკოლა, კლუბ-კინტორა, ჩაის ფაბრიკა, მაღაზიები, შემფუთავი ქარხანა. სოფლის ცენტრი თვალწარმტაცი გაწდა. სხვა რა სჭირდება სოფელს?

პარტიის რაიკომის მდივანმა ამირან ღაღაიშვილი თავისთან იხმო. ბობოყვათში კოლმეურნეობის თავმჯდომარის აგდგილ ვაკანტურია, შენი თანასოფლელები მოითხოვენ კოლმეურნეობის წინამძღოლობა მოგანდოთ, პარტიული და სამეურნეო მუშაობის საკმარისი გამოცდილებაც დაგიგროვდა, ჩვენ მხარს ვუჭერთ კოლმეურნეთა წინადადებას, ვფიქრობთ, რომ საქმეს კარგად გაარმეევ თავს. პარტიის რაიკომიდან კი დახმარება არ მოგაკლდება, უთხრა მდივანმა.

ამირანი მაშინ პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად მუშაობდა, სხვა ასპარეზზე ოცნებობდა, სამეცნიერო ხარისხის დასაცავად ემზადებოდა. შემოთავაზებული წინადადება მაინც ესიამოვნა. ბედნიერებაა, მშობლიურ სოფელს ჩაუდგე სათავეში და მეზობლებთან ერთად გასწიო ცხოვრების ჭაპანი.

მეტის გაკეთების სურვილმა, დაუკმაყოფილებლობ ის გრძნობამ თავისი გაიტანა. სწორედ იმანაც რესპუბლიკის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ახალმა სიომ დაჰბერა, მეათე ხუთწლედი ძალას იკრებდა ბაღებსა და პლანტაციებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში კოლექტივები სიტყვას დებდნენ და იმ სიტყვას ფრთიანს ხდიდნენ. ბობოყვათელებს სხვაზე მეტის გაკეთება შეეძლოთ, რადგან სოფელი დიდიც იყო და ძლევრიც.

და ახლებურად გაჩაღდა შრომა, ახლებურად გაჩაღდა შენება. ბობოყვათის სკოლა ორმოციან წლებში რაიონში საჩვენებლად ითვლებოდა, მაგრამ ოთხმოციანი წლებისათვის მისი შენობა ამორტიზებულიც იყო და მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებდა. გადაწყვიტეს კოლმეურნეობის დახმარებით აეშენებინათ ოთხსართულიანი სკოლა. 1350 მოსწავლისათვის. თავმჯდომარემ პარტიულ კომიტეტს თვითონ სთხოვა მშენებლობისადმი ზედამხედველობა მისთვის მიენდოთ. და იგი ისე დასტრიალებდა თავს მშენებლებს, თითქოს ყველაზე


**ჩანაწერები პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომიდან**


დიდ ოცნებას ისრულებდა. სკოლა ხარაჩოებში რომ მოეცა, საავადმყოფოს ჩაუყარეს საძირკველი, შემდეგ ბაგა-ბაღს, 300-ნომრიან სატელეფონო სადგურს. ისე მოზღვავდა ჩაის ნედლეული, გადაწყვიტეს მიკროფაბრიკის აშენებაც. ასე დაემსგავსა ბობოყვათი სამშენებლო ობიექტს.

არავის გაუგონია თავმჯდომარე როდის იცლიდა წიგნებისათვის. ერთ დღეს კოლმეურნეობაში რომ მოიკითხეს, თავმჯდომარე სად არისო, მდივანმა თქვა, სამეცნიერო ხარისხის დასაცავად წავიდა თბილისშიო. და ხუთიოდე დღის შემდეგ დაბრუნდა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის წოდებით. როცა პარტიბიუროში დავალებს ანაწილებდნენ, თვითონვე მოითხოვა სემინარის ხელმძღვანელობა მიენდოთ. როცა პარტიული კომიტეტის გეგმებსა და ოქმებს გადავხედეთ, გამოირკვა, რომ პარტიბიუროს არც ერთ წევრს არ ჰქონდა ისეთი სოლიდური დავალება, როგორც თავმჯდომარეს. იგი თითქმის ყოველ თვეში ამზადებდა საგეგმო საკითხს პარტბიუროს სხდომისა, ან საერთო კრებისათვის. ასე გადაება ერთმანეთს დღეები და წლები.

ბობოყვათს გმირთა საბუდარს ეძახიან, აქ 18 კოლმეურნე გახდა სოციალისტური შრომის გმირი. პირველი სოციალისტური შრომის გმირი 1947 წელს მეჩაიე ბესარე კონსელიძე გახდა, მეთვრამეტე ოქროს ვარსკვლავი ქეთევან გოგიტიძემ დაიმსახურა, ქეთევანი მაშინ 19 წლისა იყო. სოფლის ისტორიას თავდადებული ადამიანები კოლექტიური და ინდივიდუალური შრომით წერდნენ. ბობოყვათელთა მუზეუმი საქვეყნოდ ცნობილია. ლ. გუდიაშვილისა და სხვა ოსტატთა ათასზე მეტი ექსპონატი, საბვთი ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ნამუშევარი ავსებს მრავალ დარბაზს. ათიოდე წელიწადში მუზეუმი ისი ათასამდე უცხოელმა და საბჭოთა ტურისტმა დათვალიერა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარის სანელი ხალხის თვალში ორმაგად იზრდება, როცა იგი უგანრიგოდ მუშაობს. რა დასამალია, ზოგიერთ თავმჯდომარეზე ისეთ რამეს გაიგონებ, ზედაც არ გინდა შეხედო — მითვისება კი არა, ამირანი ხშირად საზოგადოებრივ საქმეს თავისას ანმარსო, უთქვამთ თანასოფლელებს.

ხალხს რას გამოაპარებ, მათ აციც იციან და კარგიც. საერთო თავდადებამ. განსაზღვრა ის, რომ სოფლის შემოსავალმა მნიშვნელოვნად იმატა. შარშან მგჩაიებმა 1806 ტონა ჩაის ფოთოლი მიჰყიდეს სახელმწიფოს და ნაკისრ ვალდებულებას 150 ტონით გადაეჭარბეს კიდეც. საშუალოჰექტარობრივმა მოსავალ მ ა 10.600 კილოგრამს მიაღწია. სოფლის ბაღებში 4500 ტონამდე ციტრუსი მოიკრიფა. გადაეჭარბებით შესრულდა რძის, ხორცის, ხილის, ბოსტნეულის საქმიანობის გეგმები. სოფლის ეკონომიკურმა მდგომარეობამ განაჭარობა ის, რომ სკოლის პირველ-მეშვიდე კლასების 356 ბავშვი განანგრძლივებულ ჯგუფებში უფასოდ სადილობს, რისთვისაც კოლმეურნეობა ყოველწლიურად 25.000 მანეთს იხდის.

პარტიის აპარის სოლქო კომიტეტის ბიუროზე ასეთი ეკონომიკური და პოლიტიკური მაჩვენებლებით წარდგნენ ბობოყვათის კოლმეურნეობა და მისი წინამძღოლი ა. ღაღაიშვილი. გახნილის თემა იყო — სკკპ XXVI ყრილობის მოთხოვნათა მიხედვით რა გაკეთდა კოლმეურნეობაში სამეურნეო და პოლიტიკური შრომის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

ითქვა, რომ კოლმეურნეობის გამგეობა, პარტიული კომიტეტი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, იდეოლოგიური კადრები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ კომპლექსური გეგმების საფუძველზე, რითაც წარმატებებს აღწევენ სოციალური და ეკონომიკური გეგმების შესრულებაში, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, პირუტყვის პროდუქტიულობა, შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, წარმატებით ვითარდება კოლმეურნეთა დამხმარე მეურნეობა, ხორციელდება სასურსათო პროგრამა.

რომ განაპირობა წარმატებანი? — მშრომელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის გაზრდამ, ცხოვრებასთან იდეოლოგიური მუშაობის კავშირის განმტკიცებამ. მშრომელთა პოლიტიკურ აღზრდაში აქტიურად მონაწილეობენ ხელმძღვანელი სამეურნეო კადრები, მათ შორის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ბიუროს სხდომაზე ბ ზაგასმით ითქვა, რომ ა. ღაღაიშვილი, როგორც კომუნისტი, კარგად უთავსებს პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას სამეურნეო საქმიანობას. იგი არის პროპაგანდისტი, ეკონომიკური ანალიზის ბიუროს ხელმძღვანელი, პედაგოგიური საბჭოს წევრი, პარტიული კომიტეტის სხდომებსა და პარტიული ორგანიზაციის კრებებზე ხშირად ამზადებს ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიც არის შრომეურნეობაში ქიტრუსის მოსავლიანობა საგანგებოდ ჩამორჩენილ საკარმიდამო მეურნეობისას. ამას ისიც ემატება, რომ კოლმეურნეობაში შეინიშნებოდა კერძოსაკუთრული გამოელებანი, ხდებოდა ციტრუსის ნაყოფის სასპეკულაციოდ გატანა, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის სხვა ფაქტები.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე და სოფლის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები ბიუროდან ჩაფიქრებულნი გამოვიდნენ, მათ სახეზე აშკარად ეტყობოდათ, რომ გონებაში ანალიზებდნენ ბიუროს წევრების მიერ მათი მუშაობის შეფასებას, შეაქეს, მაგრამ ამავე დროს ისიც შენიშნეს, რომ საჭიროა მეტი ინიციატივა, საქმიანადი უფრო შემოქმედებითი მიდგომა, რომ ცხოვრება წინ მიდის, მოთხოვნილება იზრდება, ამიტომ დღეს არ კმარა ის, რაც გუშინ საკმარისად ითვლებოდა...

ერთი კვირის შემდეგ ისევ ბობოყვათში ჩავედი. თითქმის მთელი სოფელი ბაღებსა და პლანტაციებში გამოფენილიყო. თავმჯდომარე დეხვას ნაპირზე ვნახე, ჩაის პლანტაციიდან ბრუნდებოდა, მომესალმა, სიამაყით შეათვალიერა გორაკებზე შეფენილი ბაღები. შეხედეთ, მითხრა, შრომის დისციპლინის განმტკიცებას როგორი შედეგი მოჰყეა.

ფერდობებზე მართლაც იგრძნობოდა მუშახელის სიმრავლე. ამ დროს „ეიგეულმა“ ჩაგვიჭროლა. ეტყობოდა, ბობოყვათელები იყვნენ. რამდენიმემ თავი დახარა და მანქანაში ჩაიმალა. თავმჯდომარემ მკაცრად გააყოლა თვალი.

— მაცალეთ, თქვენთვისაც მოვიცლი! — „ეიგეულმა“ მსხდომთარ დაუნახავთ, მაგრამ თავმჯდომარემ მუქარით მაინც დაუქნია თითი. სიბრაზემ გადაუარა და შემდეგ მშვიდად დააყოლა: ზოგიერთ ახალგაზრდას, საჭეს რომ ჩაიგდებს ხელში, აღარაფერი ახსოვს. ასე არ შეიძლება. ყველაფერს თავისი დრო აქვს, რაღაც უნდა მოვიფიქროთ.

მოსაფიქრებელი არაფერია, ჯანღონით აღსავსე ახალგაზრდობამ წინა თაობის ესტაფეტა უნდა ჩაიბაროს. ეს ასეც არის. ქეთევან გოგიტიძე 19 წლისა გახდა სოციალისტური შრომის გმირი, ოცდაერთი წლის ალამბრელი ქალიშვილი მზევინარ ანანიძე ჩვენი ქვეყნის პარლამენტის წევრი გახდა. თუკი ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი ვეღ-მინდვრებში ოფლსა ღვრის და დოვლათს ქმნის, იმ დროს მათი თანატოლი, თუნდაც ერთი უქნარა რატომ უნდა დათარეშობდეს აღმადაღმა და სხვასაც გულს უცრუებდეს?

ეს პარტიულმა ორგანიზაციამ კომკავშირს უნდა ჰკითხოს და ერთად გადაწყვიტონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით როგორ წარმართოს იდეოლოგიური, პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა საერთოდ და კერძოდ, ახალგაზრდობაში.

**მ. გორგილაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

# ორმაგად გაზრდილი სახელი

**უჩვეულო** პაპანაქება სიცხეებს კოკისპირული წვიმები და წყალდიდობა მოჰყვა. მიუხედავად ამინდის უცნაური ბირვეულობისა, ჩხოროწყუს რაიონის სახელოვანი მეჩაიეები თავდადებით შრომობენ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

**რაიონის საერთო წარმატებაში დიდია ნაფიჩხოვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეთა წვლილი, რომლებიც წლიურს 8.500 ტონაზე მეტ ჩაის ნედლეულის დამზადებისათვის იბრძვიან. შრომაში დაწინაურდა კომკავშირელი ფატიმა ნაჭყებია. იგი ყოველდღიურ საგეგმო დავალებას ორმაგად ასრულებს და დღემდე პირველობას არ თმობს.**

**სურათზე:** ფატიმა ნაჭყებია (წინა პლანზე) ჩაის პლანტაციაში.

**გ. ვახტანგაძის ფოტო.**

**ამგვარი** ბრიგადები შარშან, გაზაფხულის დამდეგს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის, პარტიის ცხაკაიას რაიკომისა და რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების ერთობლივი მეცადინეობით შეიქმნა.

საგანგებო საინჟინრო პროექტისა და ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილ 12-კაციან ბრიგადას მოსავლელად გაუპიროვნდა 800 ჰექტარი სახნავ-სათესი. 400 ჰექტარზე უნდა ეწარმოებინათ 20 ათასი ტონა სასილოსე მასა (საშუალოდ ჰექტარზე 500 ცენტნერი), 150 ჰექტარზე — 750 ტონა სიმინდის მარცვალი (საშუალოდ 50 ცენტნერი), 150 ჰექტარზე — 240 ტონა სოია (საშუალოდ 16 ცენტნერი) და 100 ჰექტარზე —3 ათასი ტონა მწვანე საკვები (საშუალოდ 300 ცენტნერი).

პირობის მიხედვით ბრიგადის თითოეული წევრი ყოველთვიურად მიიღებდა 200 მანეთ ავანსს, ხოლო სამეურნეო წლის ბოლოს, თუ ისინი წარმატებით გაართმევდნენ თავს დასახულ მიზნებს, ყოველ მათგანს დამატებით მიეცემოდა ნამუშევარ თვეებზე გადაანგარიშებით 800-800 მანეთი, 10-10 ტონა სიმინდი. მოკლედ, შრომის ანაზღაურება მთლიანად დამოკიდებული იყო საბოლოო შედეგებზე.

ბრიგადა დაკომპლექტებული იყო ისეთი მაღალკვალიფიციური მექანიზატორებით, რომლებსაც უნარი აქვთ მაღალხარისხოვნად და აგროვადების დაცვით შეასრულონ ყველა სამუშაო. მისი ხელმძღვანელობა პარტიის წევრს, ახალგაზრდა ინჟინერს თ. მაღრაძეს დაეკისრა.

როგორ იმუშავა შარშან და წელს ბრიგადამ, კონკრეტულად რა სარგებლობა მოუტანა მან რაიონს და რის გაკეთებას აპირებს წლეულს?

— აი, ამის თაობაზე გვესაუბრება საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი ვახტანგ ესვანჯია.

— ბრიგადელმა იჯარამ, თქვა მან, ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ იგი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპაზე შრომის ორგანიზაციის ერთ-ერთი პროგრესული ფორმაა.

უგანრიგო ბრიგადის წევრებმა-საკმაოდ ეფექტიანად გამოიყენეს ტექნიკა და ძირითადად მაღალხარისხოვნად შეასრულეს ყველა სამუშაო. მძიმე ხელის შრომისაგან გამოთავისუფლდა დიდძალი მუშახელი, გაუმჯობესდა მიწის დამუშავების კულტურა.

და აი, კონკრეტული შედეგიც: ბრიგადის მიერ მოწეული სიმინდისა და სოიის ჰექტაროობრივი მაჩვენებელი შესაბამისად 6,4 და 6 ცენტნერით აღემატება საშუალო რაიონულ დონეს. რაიონში დამზადებული სილოსის ნახევარზე მეტი ექსპერიმენტული ბრიგადის წილად მოდის. ეს მაჩვენებლები გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ სიახლის განხორციელებას ნაკლოვანებები არ ხლებოდა. ამ მხრივ, უწინარესად, აღსანიშნავია ის, რომ ბრიგადა გვიან, 15 აპრილს ჩამოყალიბდა, რამაც ხელი შეუშალა საგაზაფხულო სამუშაოთა მაღალხარისხოვნად შესრულებას. ბრიგადა თავიდანვე არ იყო უზრუნველყოფილი სანინჟინრო პროექტით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი ტექნიკით. უთუოდ აგარიშგასაწევია არახელსაყრელი კლიმატური პირობები, გამუდმებული კოკისპირული წვიმები. მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმო, რომელსაც ბრიგადა ემსახურებოდა, სათანადოდ არ იყო უზრუნველყოფილი მაღალხარისხოვანი თესლით. წელს კი შარშანდელის გათვალისწინებით მდგომარეობა კარგია.

ყოველივე ეს აღინიშნა ამ ცოტა ხნის წინათ პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომაზე, რომელმაც იმსჯელა ბრიგადის მუშაობაზე და დასახა მისი საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებები. ბიუროომ მოიწონა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების წინადადება იმის თაობაზე, რომ რაიონში შეიქმნას კიდევ 4 უგანრიგო ბრიგადა.

ეს წინადადება უკვე პრაქტიკულად განხორციელდა. დაკომპლექტდა ბრიგადები, გაფორმდა სათანადო ხელშეკრულებები. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ მექანიზატორთათვის როგორც დიდნაყოფიერი მუშაობის, ისე საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას... განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ბრიგადაში პარტიული ჯგუფების საქმიანობის გააქტიურებას. ეს საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო გავაძლიეროთ და ეფექტიანი გავხადოთ იქ პარტიულ-ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

— ბრიგადის 80 პროცენტზე მეტს, გვითხრა აგრეთვე ბატონ მა. ესვანჯიამ, ეკუთვნის ახალგაზრდა ადამიანები. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ბრიგადა ეფექტიანად ეფექტიანად ... ეფექტიანად ... ეფექტიანად ...

# „ყაზბეგობა“

**ᲒᲐᲡᲣᲚ** კვირას ყაზბეგის რაიონის მშრომელებმა ტრადიციულად აღნიშნეს „ყაზბეგობა“.

ორასი წლის წინთ მთელ კავკასიაში მეტად ავტორიტეტულმა და გავლენიანმა პიროვნებამ გაბრიელ ყაზბეგმა მეგობრებს საქართველოს „ჩრდილოეთის კარიბჭე“ გაუღო, რომელიც მანამდე აუღებელი ცხინ-სიმაგრე იყო. გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის შემდეგ ეს კარიბჭე სტუმართმოყვარულად გაიღო რუსეთისათვის, რომელმაც დახმარების ხელი გაუწოდა მტრებთან ბრძოლაში ქანცგაწყვეტილ ქართველ ხალხს. „დარიალის დერეფანმა“ სამუდამოდ დააკავშირა საქართველო რუსეთს, და გზა, რომელსაც შემდგომში საქართველოს სამხედრო გზა ეწოდა, მოძმე ხალხების მეგობრობის ტრასად იქცა.

მას შემდეგ ამაყი და თავისუფლებისმოყვარე მოხეველები დიდი პატივით ხვდებიან ყველას, ვისაც შვიდობა სურს. ისინი პატივს მიაგებენ თავიანთ წინაპრებს — გაბრიელ და ალექსანდრე ყაზბეგებს, რომლებმაც მეგობრობის ქვითლშობილური იდეები უანდერძეს ხალხს. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ აღნიშნეს ხალხმრავალ მიტინგზე პარტიის ყაზბეგის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ზიხაშვილმა, მწერალმა ა. გომიაშვილმა და სხვებმა.

ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობაზე ილაპარაკა ლიპეცკის ლერმონტოვის სახელობის საშუალო სკოლის მასწავლებელმა, ლენინის ორდენოსანმა ა. შატალოვამ, რომელიც თავის თხუთმეტ მოსწავლესთან ერთად მოგზაურობს ლერმონტოვისეულ ადგილებში. ყაზბეგში ისინი არა მარტო აგროვებდნენ მათთვის საინტერესო ისტორიულ მასალებს, არამედ სტუმართმოყვარე მასპინძლებს ადგილობრივი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განახლებაშიც დაეხმარნენ.

— ჩვენი სკოლის მუზეუმის ერთ-ერთი კუთხე მთლიანად საქართველოს ეძღვნება, — თქვა ა. შატალოვამ, — სპეციალური სტენდები მნახველთ აცნობს თქვენი ხალხის დიდ წარმომადგენლებს — შოთა რუსთაველს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ალექსანდრე ყაზბეგსა და სხვებს. ამ სტენდებს საქართველოს მაღალი მთიდან ჩამოტანილი ყვავილები ამშვენებს.

დღესასწაულში შონაწილეობდნენ აგრეთვე ორჯონიკიძიდან ჩამოსული სტუმრები, თბილისელი ესტრადის მსახიობები, ადგილობრივი მხატვრული თვითმოქმედება, ციცაბო ფერდობებზე კი სოფლის ცხენსნები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

* * *

**ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის პირველი მდივანი გ. ზიხაშვილი და ლიპეცკის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, „ყაზბეგობის“ სტუმარი ა. შატალოვა სამახსოვრო სუვენირებს უცვლიან ერთმანეთს.**

**Ი. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

# ᲢᲔᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

„ᲐᲛᲘᲔᲠᲘᲓᲐᲜ გიღებთ თქვენ ჩემი სახლის და გულის კარს...“ თვალსაჩინო სომეხი ლირიკოსი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ვაჰან ტერიანის ეს სტრიქონები გახდა ბოგდანოვკის რაიონულ კულტურის სახლში გამართული ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოს ლაიტმოტივი.

ვ. ტერიანი დაიბადა ბოგდანოვკის მახლობლად, სოფელ განძანში. იგი ხალხთა მეგობრობისა და ძმობის მგზნებარე მომღერალი იყო. ჯერ მოსკოვის, ხოლო შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტების სტუდენტი, იგი რევოლუციური ბრძოლის გზას დაადგა. 1908 წელს გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული „დაისის ოცნება“, რომელმაც იმთავითვე აღიარება მოუტანა პოეტს. 1915 წელს ვ. ტერიანი მ. გორკისთან ერთად გამოსცემს „სომხური ლიტერატურის კრებულს“, თარგმნის „ვეფხისტყაოსანს“ შეშაკალს, რომელიც დღემდე ქართულიდან სომხურად პოეტური თარგმანის უბადლო ნიმუშია. 1917 წელს ტერიანი შედის კომუნისტური პარტიის რიგებში და ახალ ცხოვრებას აშენებს. ლენინთან შეხვედრამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა კომუნისტზე. მან პირველმა თარგმნა სომხურად დიდი ბელადის ნაწარმოებები. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ტერიანი დაუცხრომელ სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. თავისი შთაგონებული კალმით მან უდიდესი გავლენა მოახდინა თანამედროვე სომხურ ლიტერატურაზე.

ამ დაუვიწყარ საღამოზე, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიეძღვნა, პოეტის სტრიქონები ჟღერდა სომხურ, რუსულ, ქართულ ენებზე. გულში ჩამწვდომი სიტყვები ხალხთა მეგობრობისა და ძმობის წმიდათაწმიდა გრძნობებზე წარმოთქვეს საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარი სარედაქციო კოლეგიის მთავარმა რედაქტორმა ო. ნოდიამ, სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა მ. სარჭისიანმა, ტერიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარმა, მწერალმა ლ. ბოლშაკოვმა, პოეტმა რ. ამაშუკელმა, მთარგმნელმა ზ. მედულაშვილმა და სხვებმა. გულთბილად შეხვდნენ შეკრებილნი ვ. ტერიანის შვილიშვილს — გრიგოლ ემინს და გეორგიევსკის მშრომელთა დელეგაციას — რაიონული გაზეთის „ლენინსკაია პრავდას“ რედაქტორს ვ. სიდენკოს, ლენინის სახელობის საარმატურო ქარხნის მრავალტრაიფინი გაზეთის რედაქტორს ი. ტიმაშოვს და სამაგვრო ბაღის გამგეს ტ. სიჩოვას.

საღამოს დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე.

მეორე დღეს ზეიმმა პოეტის პატივსაცემად სოფელ განძანში გადაინაცვლა. უწყვეტ ნაკადად მოდიოდა აქ ხალხი. დილიდან სოფელში, სადაც ყოველწლიურად ეწყობა ტერიანის პოეზიის დღე, დაახლოებით 20 ათასი სტუმარი ჩამოვიდა.

ზღვის დონიდან 2000 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ლამაზი მინდორი ამ დღეს უზარმაზარ სასცენო მოედნად გადაიქცა.

— გავა საუკუნეები, მაგრამ ჩვენი დიდი თანამემამულე ყოველთვის იქნება სამშობლოს უანგარო სამსახურის მაგალითი, — თქვა მიტინგის გახსნისას პარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ქოჩოიანმა.

მეგობრობის დიდ კონცერტში მონაწილეობდნენ საქართველოს ფილარმონიის ფოლკლორული ანსამბლი „მეტეხი“, სომხეთის რადიოს და ტელევიზიის კამერული გუნდი სომხეთის სსრ სახალხო არტისტის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ე. ოპანესიანის ხელმძღვანელობით, სომხეთის სახალხო არტისტი ბ. ზაქარიანი და სხვები.

(საქინფორმი).

# ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

**ᲒᲐᲖᲗᲘ** „საბჭოთა ოსეთის“ 50 წლისთავს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც ქალაქ ცხინვალში გაიმართა.

გაზეთის ნახევარი საუკუნის სახელოვან გზაზე, მის ამოცანებზე ილაპარაკა გაზეთის რედაქტორმა ვ. მაისურაძემ.

იუბილარ გაზეთს, მის ავტორთა კოლექტივს გულთბილად მიესალმნენ და მიულოცეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის, საქინფორმის, გაზეთების, ჟურნალების წარმომადგენლებმა.

საზეიმო სხდომას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პიროსმანის წევრობის კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. სანაკოევი („ᲙᲝᲛ“. ᲙᲝᲠ.).

# ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲠᲓᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲗ:** საბჭოთა, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და პრესის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების 50 წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საბჭოთა ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. კლიმენტი ვასილის ძე **ᲑᲣᲯᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

**ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ-ᲛᲐᲡᲝᲒᲠᲘᲕᲘ** და **სამხედრო-პატრიოტული** მუშაობის ორგანიზაციაში ხანგრძლივი ნაყოფიერი საქმიანობისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ᲙᲣᲠᲔᲜᲐ ანტონის ასული **ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲨᲕᲘᲚᲘ** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

**ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ** კონტროლის ორგანოებსა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე აქტიური, ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ᲒᲣᲠᲐᲛ დავითის ძე **ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

# ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

● ᲒᲓᲠ

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲔᲛᲘ

**ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ.** ვარნემუნდეს „ვარნოვ ვეფტის“ გემთსაშენში წყალში ჩაუშვეს ახალი საზღვაო გემი, რომელიც 600-ზე მეტ კონტეინერს იტევს. ეს მეექვსე გემია, რომელიც წლის დამდეგიდან ააგეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უდიდეს გემთსაშენებელ საწარმოში.

საბჭოთა კავშირი „ვარნოვ ვეფტის“ ძირითადი შემკვეთია. ჩვენნ ქვეყნისათვის აქ ააგეს 120-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის სატვირთო გემი, მათ შორის საზღვაო მშრალი ტვირთის გემები, რომლებიც სპეციალურად არქტიკის პირობებში ცურვისათვის არის გათვალისწინებული.

● ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

## ᲒᲔᲒᲛᲐ — ᲕᲐᲓᲐᲐᲫᲔ

**ᲠᲐᲚᲐ.** ქალაქ ხომუტოვის მილსაგლინავი ქარხნის კოლექტივმა საბჭოთა კავშირს გაუგზავნა დიდი დიამეტრის უნაკერო მილების დიდი პარტია. საწარმოს მუშაკებმა იკისრეს სოციალისტური ვალდებულება ვადამდე — 20 დეკემბრისათვის შეასრულონ სსრ კავშირისათვის პროდუქციის მიწოდების გეგმა. სულ ქარხანა საბჭოთა პარტნიორებს გაუგზავნის 190 ათას ტონაზე მეტ სხვადასხვა დიამეტრის მილებს.

ხომუტოვის მილმგლინავებსა და სსრ კავშირის მონათესავე საწარმოთა კოლექტივებს 35 წლის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა აკავშირებთ. ამ ხნის მანძილზე მილების ექსპორტი 16-ჯერ გაიზარდა და ახლა ქარხნის მთელი პროდუქციის ნახევარზე მეტს შეადგენს.

● ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲘᲪᲕᲔᲜᲒᲘᲗᲗ

**ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ.** უნგრელმა სპეციალისტებმა დაიწყეს საბჭოთა ლიცენზიის საფუძველზე ინტეგრალური სქემების წარმოების ათვისება. რადიოელექტრონული მრეწველობის საჭიროებისათვის ამ თანამედროვე პროდუქციის გამოშვების დაწყება დაგეგმილია მომავალი წლიდან. საბჭოთა ტექნოლოგიის გამოყენება უზრუნველყოფს უნგრეთის მიკროელექტრონული მრეწველობის განვითარების დაჩქარებას, ქვეყნის სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში ელექტრონიკის გამოყენების გაფართოებას.

სსრ კავშირსა და უნგრეთს შორის მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეთა, ლიცენზიებისა და მოწინავე ტექნოლოგიის ურთიერთგაცვლა ორი მოძმე ქვეყნის ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

# ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲐ

## ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲫᲐᲚᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲐ 1 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲛᲓᲐᲜ

**ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲡ, ᲛᲐᲡᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲤᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ.**

**ᲐᲛᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝᲡ ᲜᲘᲛᲝᲨᲘᲐ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ „ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲘᲡᲛᲔᲠᲔ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ“ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.**

**ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲠᲓᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲗ.**

**ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲘᲡ, ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲔᲑᲘ.**

„ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲒᲐᲜᲘ ᲜᲘᲛᲐᲜᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲖᲐᲖᲔ“ — ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ ᲑᲔᲭᲓᲐᲕᲡ „ᲜᲘᲪᲨᲐᲑᲐᲓᲨᲘᲐᲜᲘ“ მოწინავე სტატიას, რომელიც საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მოლაპარაკების შედეგებს ეძღვნება. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ, წერს გაზეთი, კარგი მუშაობა გასწია საბჭოთა კავშირში, და მის მოლაპარაკებს კონკრეტული შედეგები მოჰყვება. მოლაპარაკების შედეგებმა, რომელიც სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, დაადასტურეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და ორი ქვეყნის მთავრობათა შეხედულებებისა და მიზნების ერთიანობა. მიღწეული მორიგებანი ხელს შეუწყობენ სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას, რომელიც სავსებით შეესაბამება საბჭოთა და უნგრელი ხალხების ძირეულ ინტერესებს.

ნატოს სომარი მზადება, ნათქვამია სტატიაში, მთლიანად ადასტურებს როგორც ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის პრაღის თათბირზე, ისე ამა წლის 28 ივნისს მოსკოვში ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეების შეხვედრაზე მიღებულ ერთობლივ დეკლარაციებში ჩამოყალიბებული დასკვნების სისწორეს.

მოლაპარაკების შედეგები დიადი იდეალებისათვის — სოციალიზმისათვის, პროგრესისა და მშვიდობისათვის ძმური ერთსულოვნებისა და ურთიერთმოქმედების მნიშვნელოვანი მანიფესტაციაა, წერს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო **„რაბოტნიჩესკო დელო“**. ფართო წრის საკითხებზე ინტენსიური დიალოგი, რომლებიც ეხება ორმხრივი ურთიერთობის მდგომარეობასა და პერსპექტივებს, აგრეთვე საერთაშორისო ვითარების უაღრესად აქტუალურ პრობლემებს, გამსჭვალული იყო აღმშენებლობითი საფუძვლის ოპტიმიზმითა და რწმენით, რომელზეც ყველა მოძმე სოციალისტური ქვეყანა აგებს თავის საგარეო პოლიტიკასა და ურთიერთობას ერთმანეთთან.

საბჭოთა კავშირმა და უნგრეთმა, წერს ინდური **„პეტრიოტი“**, დაადასტურეს, რომ მტკიცე დ აქვთ გადაწყვეტილი გააძლიერონ ბრძოლა მსოფლიოში დაძაბულობის შენელებისა და ბირთვული ომის საფრთხის აღმოფხვრისათვის. მათ სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს მსოფლიოში ვითარების გამწვავების გამო, რომელიც გამოწვეულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს მთელი რიგი სხვა ქვეყნების მილიტარისტული წრეების პოლიტიკით, მათი აგრესიულობის გაძლიერებით.

დასავლეთის საინფორმაციო საგენტოები, უწინარეს ყოვლისა ეხებიან საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ერთობლივი კომუნიკეს იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია, რომ ვარშავის მონაწილე სახელმწიფოთათვის განსაკუთრებით საშიშია დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტების განლაგების გეგმები. თუ საქმე ამ გეგმების რეალიზაციამდე მივა, ისინი განახორციელებენ ეფექტიან საპასუხო ღონისძიებებს და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებენ, რათა, მათ სამხედრო უპირატესობას მიაღწიონ.

**რეიტერის სააგენტო** აცხადებს: საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ერთობლივი კომუნიკე, რომელსაც ხელი მოაწერეს ი. ვ. ანდროპოვისა და ი. კადარის მოლაპარაკების დროს მოსკოვში, აღნიშნავს, რომ უნგრეთმა მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის გაფრთხილებას, რომ განახორციელებს საპასუხო ღონისძიებებს, თუ დასავლეთის ქვეყნები განალაგებენ საშუალო სიმორის ამერიკულ რაკეტებს.

# ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

## ᲕᲔᲨᲔᲓᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ

**ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘᲡ** სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან მოსკოვში გამართული მოლაპარაკების შედეგები, ამხანაგების ი. ვ. ანდროპოვისა და ი. კადარის მიერ კრემლის დიდ სასახლეში ხალხზე წარმოთქმული სიტყვები მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საშუალებებს მიაჩნიათ ახალ იმპულსად სსრ კავშირისა და უნგრეთის ყოველმხრივი ძმური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავებისათვის, რაც მთლიანად შეეხებამება საბჭოთა და უნგრელი ხალხების ძირეულ ინტერესებს.

**განმარტავს რა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ერთობლივ კომუნიკეს, პრესა ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის უმაღლესი დონის შეხვედრამ დამაჯერებლად დაადასტურა, თუ რა თანმიმდევრული და პრინციპიული სოციალისტური ქვეყნების ხაზი ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის, გამალებული შეიარაღების ალაგმვის, პოლიტიკური და სამხედრო დაძაბულობის შენელების გზაზე მსოფლიოს დაბრუნებისათვის, იმპერიალიზმის აგრესიული, ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ, მოკავშირე სოციალისტური სახელმწიფოების მიერ წამოყენებული საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღების პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.**

# ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲐ

## ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲫᲐᲚᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲐ 1 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲛᲓᲐᲜ

„ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲒᲐᲜᲘ ᲜᲘᲛᲐᲜᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲖᲐᲖᲔ“ — ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ ᲑᲔᲭᲓᲐᲕᲡ „ᲜᲘᲪᲨᲐᲑᲐᲓᲨᲘᲐᲜᲘ“ მოწინავე სტატიას, რომელიც საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მოლაპარაკების შედეგებს ეძღვნება. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ, წერს თითოეული მათგანი შემადგენლობით მრავალეროვნული. შრომითი კოლექტივების ურთიერთმოქმედების მნიშვნელოვანი მანიფესტაციაა, წერს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო **„რაბოტნიჩესკო დელო“**. ფართო წრის საკითხებზე ინტენსიური დიალოგი, რომლებიც ეხება ორმხრივი ურთიერთობის მდგომარეობასა და პერსპექტივებს, აგრეთვე საერთაშორისო ვითარების უაღრესად აქტუალურ პრობლემებს, გამსჭვალული იყო აღმშენებლობითი საფუძვლის ოპტიმიზმითა და რწმენით, რომელზეც ყველა მოძმე სოციალისტური ქვეყანა აგებს თავის საგარეო პოლიტიკასა და ურთიერთობას ერთმანეთთან.

საბჭოთა კავშირმა და უნგრეთმა, წერს ინდური **„პეტრიოტი“**, დაადასტურეს, რომ მტკიცე დ აქვთ გადაწყვეტილი გააძლიერონ ბრძოლა მსოფლიოში დაძაბულობის შენელებისა და ბირთვული ომის საფრთხის აღმოფხვრისათვის. მათ სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს მსოფლიოში ვითარების გამწვავების გამო, რომელიც გამოწვეულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს მთელი რიგი სხვა ქვეყნების მილიტარისტული წრეების პოლიტიკით, მათი აგრესიულობის გაძლიერებით.

დასავლეთის საინფორმაციო საგენტოები, უწინარეს ყოვლისა ეხებიან საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ერთობლივი კომუნიკეს იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია, რომ ვარშავის მონაწილე სახელმწიფოთათვის განსაკუთრებით საშიშია დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტების განლაგების გეგმები. თუ საქმე ამ გეგმების რეალიზაციამდე მივა, ისინი განახორციელებენ ეფექტიან საპასუხო ღონისძიებებს და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებენ, რათა, მათ სამხედრო უპირატესობას მიაღწიონ.

**ᲠᲔᲘᲢᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝ** აცხადებს: საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ერთობლივი კომუნიკე, რომელსაც ხელი მოაწერეს ი. ვ. ანდროპოვისა და ი. კადარის მოლაპარაკების დროს მოსკოვში, აღნიშნავს, რომ უნგრეთმა მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის გაფრთხილებას, რომ განახორციელებს საპასუხო ღონისძიებებს, თუ დასავლეთის ქვეყნები განალაგებენ საშუალო სიმორის ამერიკულ რაკეტებს.

# ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐ

● ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

## ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚ ᲣᲗᲐᲜᲮᲛᲝᲛᲔᲑᲐᲗᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

**ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ.** **„რთულსა და ფეთქებასაშიშ“ უწოდებს ადგილობრივი პრესა ეკონომიკის მინისტრთა დონეზე აქ გახსნილ ევროპის გაერთიანების მინისტრთა სამეფოს სესიას. სესია ეძღვნება „ათეულის“ მეტალურგიული მრეწველობის პრობლემებს.**

ახლა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებში ფოლადსამსხმელო ქარხნები მხოლოდ 54 პროცენტი სიმძლავრით მუშაობენ. 1977-დან 1983 წლამდე პერიოდში გაერთიანებაში სამუშაო დაკარგა 232 ათასმა მეტალურგმა, ანუ დარგის მუშათა საერთო რიცხვის 31,2 პროცენტმა.

„მცირე ევროპის“ პარტნიორებსა და ევროპის გაერთიანებათა კომისიებს შორის სერიოზული უთანხმოება გამოიწვია ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ამ აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილებამ, რომელმაც იძულებითი წესით, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მინისტრთა სამეფოსთან კონსულტაციების გარეშე, დაიწესა „საერთო ბაზარი“ დამატებითი შეზღუდვები ფოლადის გამოდნობაზე. ევროპის გაერთიანებათა კომისიამ „ათეულის“ ქვეყნებს მოსთხოვა ფოლადის წარმოება შეამციროს 26,7 მილიონი ტონით, რაც გამოიწვევს 100-დან 150 ათასამდე მუშის დათხოვნას.

იტალიის წარმომადგენლებმა დაუყოვნებლივ განაცხადეს, რომ ეს გეგმა აბსოლუტურად მიუღებელია. ღრმა უკმაყოფილება გამოთქვა აგრეთვე ჰოლანდიის მთავრობამ. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებში მეტალურგთა მძლავრი დემონსტრაციები გაიმართა.

ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მინისტრთა სამეფოს სესიაზე განიხილავენ. აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის საკითხს. რეგანის ადმინისტრაციის იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომ განზრახული აქვს დაწესოს დამატებითი შეზღუდვები ამერიკის ბაზარში დასავლეთევროპული ფოლადისა და მისი ნაწარმის იმპორტზე, შეერთებული შტატების მოქმედებამ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებში გულისწყრომა და სერიოზული შეშფოთება გამოიწვია გაერთიანების მეტალურგიული მრეწველობის მომავლისათვის, რომელიც ისედაც უდიდეს სიძნელეებს განიცდის. ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში შიშობენ, რომ ვაშინგტონის გადაწყვეტილებას მოჰყვება წარმოების შემდგომი დაქვეითება და გამოიწვევს სამუშაო ადგილების ახალ შემცირებას.

ევროპის გაერთიანებათა კომისიამ შეერთებულ შტატებს მკაცრი პროტესტით უპასუხა და გამოაცხადა, რომ ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალურ შეთანხმებაში შეიტანს საჩივარს ვაშინგტონის მიერ საერთაშორისო ვაჭრობის ნორმების დარღვევის გამო და ამერიკის შეერთებული შტატებისაგან კომპენსაციას მოითხოვს დარგისათვის მიყენებული მატერიალური ზარალისათვის.

# ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲩᲐᲚᲒᲘᲡ

## ᲩᲐᲠᲔᲕᲘᲡ ᲔᲡᲙᲐᲚᲐᲪᲘᲐ

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.** **წინა კვირაში რეიგანის ადმინისტრაციამ მორიგი ნაბიჯი გადადგა ჩადის ნაჩქმეებში ჩარევის ესკალაციის გზაზე და გადაწყვეტა მისენ პაბრეს მთავრობას გადასცეს 10 მილიონი დოლარის შეიარაღება და სახრძოლო ტექნიკა.**

**ᲪᲝᲜᲘᲡᲘ.** ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი და ისრაელი ისწრაფვიან ჩადი გადაალაგონ აფრიკაში მუდმივ ცხელ წერტილ



# კაცურკაცობის საზომი

ქუჩაში შემთხვევით თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის დირექტორს ს. ქარჩავას შევხვდი. დავინტერესდი საწარმოს საქმიანობით, კერძოდ იმით, თუ როგორ არმომეკვენ მეავეჯეები თავს სკოლების შეკვეთებს და უზრუნველყოფენ თუ არა მათ აუცილებელი ნივთებით სასწავლო წლის დაწყებამდე.

— ყველაფერი თავის რიგით და წესით მიმდინარეობს, მომხმარებლებს არ დავალალატებთ. პრინციპიულად პასუხსაგებ ფაქიზ სამუშაოებს პეტრე კოვოლიოვისთანა ხალხი ასრულებს და საქმეს წინ ვერაფერი დაუდგებაო, — მითხრა დირექტორმა. — პეტრე კოვოლიოვი ვინ არის?! არ იცნობთ? დასანანი კია. გადაეჯარბებული არ გეგონოთ და, მაგისთანა დურგალი, რომ იტყვიან, დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება, დურგალი კი არა, მხატვარია, ყველაფერი, რასაც აკეთებს, პირდაპირ ხელოვნების ნიმუშია. მობძანდით, გაიცანით, ნახეთ.

მეორე დღეს ფაბრიკაში ჩვენს ფოტოკორესპონდენტთან ერთად მივედი და გადავწყვიტეთ პეტრესათვის ჯერ გაზეთში გამოსაქვეყნებელი სურათი გადაგვეღო და მერე გავსაუბრებოდით. ეს რომ გაიგო, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. პირდაპირ „ომი“ დაგვეცირდა, ვიდრე ობიექტივის წინ დგაყენებდით. მის გვერდით მომუშავე ამხანაგები და საწარმოს ხელმძღვანელობა რომ არა, მიზანს ვერ მივაღწევდით.

— ძალიან მორიდებული, გადაჭარბებულად მოკრძალებულია ჩვენი პეტრე, — გამოგვძახა საამქროს კუთხიდან მღებავმა ა. მარქაროვმა.

— ზოგიერთი მაგის ადგილზე ბევრს არ გახვეწნინებდათ, მაგრამ პედაგოგები აყალიბებენო. ალბათ სწორი არიან ერთნიც და მეორენიც, მაგრამ მთავარი ეს როდია. მოკრძალება ის ფენომენია, რომელსაც ცხოვრებაში ვერ ითამაშებ. მოკრძალება შეიძლება თეატრის სცენაზე ავიდეს და რამდენიმე საათს მხოლოდ ერთი მსახიობის „მარწუხებში“ გაძლოს, შემდეგ იგი უთუოდ იმას დაუბრუნდება, ვისთვისაც ეს ბედნიერება ბუნებასა და ოჯახს მიუცია. დიდხანს მოკრძალებული თამაში წარმოუდგენელია. თუ იგი სულის შემადგენელი ნაწილი არ არის, დღეს თუ არა, ხვალ თვითონვე მოიხსნის ნიღაბს და გამომზეურდება.

პეტრე კოვოლიოვს კი საუკუნის მეოთხედია, რაც ასეთ მოკრძალებულ კაცად იცნობენ. არა, მისი შრომითი მოღვაწეობა მნიშვნელოვნად ადრე დაიწყო. 25 წლის წინათ იგი მხოლოდ საქართველოში ჩამოვიდა. ასე განსაჯეთ, მისი აქ ჩამოსვლა ჩვენი რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ლატვიის სსრ შესაბამისი სამინისტროსათვის უთხოვია. ლატვიელ კოლეგებს ახგარიში გაუწევიათ ჩვენი რესპუბლიკების, კერძოდ თბილისისა და რიგის ტრადიციული მეგობრობისათვის და თხოვნა დაუკმაყოფილებიათ. მუშის გადაყვანგადმოყვანის საკითხის სამინისტროების დონეზე გადაწყვეტა არცთუ ისე ხშირად ხდება. ესეც, როცა საქმე სპეციალისტებს ეხება!

— ხომ ასეა?

— სწორი ბრძანდებით, — განაგრძო ს. ქარჩავამ, — მაგრამ მუშაც არის და მუშაც. ეს 52 წლის კაცი იმდენად უნივერსალური კვალიფიკაციის ხელოსანია, რომ აქედან რიგაშიც „გამოჩნდა“. მისი ოსტატობის დონე იმდენად მაღალია, რომ ჩვენი საავიაო მრეწველობის მუშაკებს შეუმჩნეველი არ დარჩათ და, ნუ მოვეგრიდებით ამ სიტყვას, გადმოვზიერეთ იგი. ასეთი ადამიანი რომ ქედმაღალი და ყოყოჩი ყოფილიყო, მერწმუნეთ, მისი ოქროს ხელები პერსონიფიცირებულ მნიშვნელობას დაკარგავდნენ.

პეტრე საქართველოში მოიწვევიათ არა მარტო როგორც საუკეთესო დურგალი, არამედ როგორც ალმზრდელი, რომელიც მოზარდ თაობას ხის მხატვრულად დამუშავების საიდუმლოებას ასწავლიდა. იგი ერთნაირი მოწიწებით ამყარებს კონტაქტს დიდთანაც და პატარასთანაც. ნამდვილად ბრძნული ნათქვამია: მძიმე თავთავი თავდახრილია.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ პეტრეს კარგა ხანს „განთადის“ ავეჯის საწარმოო გაერთიანებაში უმუშავია და მერე... მერე, თქვენ წარმოიდგინეთ, არც იქ „დაუყენებიათ“. შესჩენიან, გინდა თუ არა, შენი ნახელავით პატარები უნდა გავახაროთ, სასკოლო ინვენტარის ფაბრიკაში გადმოდიო. უყოყმანია, გულდასმით აუწონდაუწონია საქმე და საბოლოოდ ბავშვების საყვარულს გადაუძღვეია. შვიდი წელიწადია, რაც აქ იღვწის და ამ ხნის განმავლობაში ფაბრიკაში მისი ხელმძღვანელობით კარგ ხელოსანთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. საერთოდ, საქართველოში და, კერძოდ, „განთადში“ მუშაობის მრავალი წლის მანძილზე 500-მდე ახალგაზრდა უზიარებია ხის დამუშავების საიდუმლოებისათვის და ბევრი მათგანი ახლა თვითონ გამხდარა ალმზრდელი, დარგის სანიმუშო მუშაკი.

თვით პეტრე ხის დამუშავების „ანბანს“ რიგის მხატვრულ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში დაუფლებია და მერე, როგორც ბეჯითი ახალგაზრდა, იმ ფაბრიკაში მიუღიათ, რომელმაც საქვეყნოდ გაუთქვამ სახელი რიგულ ავეჯს. ამ საწარმოში მისთვის, როგორც ნიჭიერი ხელოსნისათვის, მეტად პასუხსაგები საქმე მუნდოდათ: იმ დროისათვის მშენებარე მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ავეჯის დამზადება დაუვალებიათ. სწორედ ამ დავალების პირნათლად, მაღალ დონეზე შესრულების შემდეგ მოუხვეჭია პეტრეს „ოქროს ხელიანი“ ოსტატის სახელი. ვინ მოთვლის, რომელ სამინისტროს, უწყებას, უმაღლეს სასწავლებელს, სკოლას თუ საბავშვო ბაღს არ მიუცია სპეციფიკვეთა ამ თავის საქმეზე საოცრად შეყვარებული ადამიანისათვის. პეტრე კოვოლიოვის ნახელავს დიდი მოწონება ხედა წილად ვარშავის და კრაკოვის სასკოლო ავეჯისა და საკავშირო საბავშვო ავეჯის გამოფენებზე. ახლა მას მრავალ საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე გასვლა ელის. ამ წუთშიც მეტად სერიოზულ შეკვეთას ასრულებს და ოდნავაც არავის ეპარება ეჭვი, რომ ბრწყინვალედ გაართმევს მას თავს.

— პირფერობაში ნუ ჩამომართმევთ და საოცარი ხალხი ცხოვრობთ საქართველოში, — გვითხრა პეტრე კოვოლიოვმა, როცა საწარმოს ეზოში გამოვედით და წასასვლელად მოვემზადეთ. — იცით, ნამდვილი ოსტატის ფასი, გარჯის ფასი. ერთი წუთითაც არ მიგრძვნია სიმარტოვე თქვენს რესპუბლიკაში, თუმცა, რას ვამბობ, რას ჰქვია თქვენსაში, ჩვენს რესპუბლიკაში! არასდროს არ მომკლებია ყურადღება ჩემ გვერდით მომუშავეებისა და ხელმძღვანელებისაგან. ნამდვილად ინტერნაციონალისტები ხართ, დიახ, ინტერნაციონალისტები. მერწმუნეთ, ასე რომ არ იყოს, ამდენი ეროვნების ხალხი თქვენთან არ იცხოვრებდა. ავიღოთ თუნდაც ჩვენი ფაბრიკა: ერთად ვშრომობთ რუსი, სომეხი, ქართველი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი, ებრაელი და არ მახსოვს შემთხვევა, რომ ეროვნების საკითხზე ვინმეს კონტი დაეძრას. მშრომელ ვცხოვრობთ, ხელოხელ ჩაკიდებული ვაკეთებთ საქმეს. საქართველოში დავვაკაცდი, აქ შევქმენი ოჯახი, აქ მიმიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში, საქართველო ჩემი მეორე საყვარელი სამშობლოა. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთვის, ქართველი და რუსი ხალხის სამუდამოდ დამეგობრების იუბილეს ღირსეული შეხვედრისათვის შეც და ჩემმა კოლექტივმაც გაზრდილი ვალდებულებანი ვიკისრეთ და პირნათლადაც ვასრულებთ მათ.

პეტრე კოვოლიოვთან ჩვენი ეზოში საუბარი შესვენების დროს დაემთხვა და მუშათა „ალაში“ აღმოვჩნდით. კიდევ კარგი, რომ ასე მოხდა, თორემ პეტრესთან დაკავშირებულ ზოგიერთ საინტერესო ამბავს კვლავ ვერ შევიტყობდით. თუნდაც იმას, რომ ეს კაცი შესანიშნავი მეოჯახე ყოფილა, ორი ვაჟი ჰყოლია: უფროსს — ალექსანდრეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაუმთავრებია, ხოლო უმცროსს — იგორს განსაკუთრებული ნიჭი გამოუჩენია და ახლახან ვიკუოს სახელობის მათემატიკურ საშუალო სკოლაში ჩაერიცხავთ. მართალია, შვილები მამის გზას არ გაჰყოლიან, მაგრამ დურგლობა მაინც კარგად შეუსწავლიათ. ყოველ შემთხვევაში, მაგიდის, სკამის ან სხვა ნივთის გასაკეთებლად ან შესაკეთებლად პეტრეს შვილები სხვას არ დაუძახებენ და ამისათვის ოჯახის ბიუჯეტს არ შეამციერებენ.

პეტრეს ძმა ალექსანდრე, პროფესიით იურისტი, ლენინგრადის ოლქის ერთ-ერთ ქალაქში სახალხო მოსამართლე ყოფილა. ძმებს, როგორც ძმობას შეშვენის, ერთმანეთთან კარგი განწყობილება ჰქონიათ და თავიანთ შვებულებას მხოლოდ მოხუც დედასთან — ფსკოვის ოლქის ქალაქ ოდრიცაში ატარებენ.

— რას იზამ, — გვითხრა დამშვიდობებისას პეტრემ, — ბაბუაჩემის, მიხეილის მამა, ივანე და მამაჩემი ივანეც დურგლები იყვნენ, მაგრამ მათი შთამომავლობიდან ყველა არ გახდა დურგალი. თუმცა ეს არაფერია: მთავარია თავიანთ საქმეს მთელი გულით, მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდონ და ჩავთვალო, რომ ყალი სამშობლოს წინაშე პირნათლად მოვიხადეთ.

ლამაზად ცხოვრობს და შრომობს ჩვენი რესპუბლიკის მრავალეროვან მშრომელ ოჯახში დიდი რუსი ხალხის შვილი, მუშათა კლასის შესანიშნავი წარმომადგენელი, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, კომუნისტი პეტრე ივანეს ძე კოვოლიოვი.

**შ. ამაშუკელი.**

„კომუნისტის“ კორ.

**სურათზე:** პეტრე კოვოლიოვი.

**ვ. გენგბიურის ფოტო.**

## სიახლეთა პანორამა

ᲕᲘᲜ მოთვლის, რამდენ სიახლეს ნახავს ადამიანი, როცა, ზაფხულის ამ ცხელ დღეებში სამოგზაუროდ გაუდგება გზას. აი, მდინარე ხანისწყალზე საცალფეხო ხიდი აუგიათ. ამით მნიშვნელოვნად შემოკლდა ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელ-მუზეუმამდე მისასვლელი გზა; უკანასკნელ ხანს საგრძნობლად დამშვენდა ცაგერის რაიონული ცენტრი. ამ სურათზე აქ გახსნილი სამხატვრო გალერეის ორიგინალური შენობაა აღბეჭდილი, რომელიც კარგად შეერწყა მწვანით შემოსილ მთებს.

**ა. ჩარკვიანის ფოტო.**

# დღის წესრიგშია სპარტაკიადა

**VII 83**

**მოჰადრაკეთა** სასპარტაკიადო შეჯიბრების ფინალურ ექვსეულში სამი ტურის შემდეგ გადადებული მატჩების დამთავრებამ გარკვეული სიცხადე შეიტანა გუნდების სატურნირო მდგომარეობაში. თავდაპირველად იმის თაობაზე, თუ როგორ დაამთავრეს საქართველოს მოჰადრაკეებმა გადადებული პარტიები. ლენინგრადელებთან ორი პარტიის დასრულების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 4,5:3,5. ჩვენმა მოჭადრაკეებმა უბილავამ და სტურუამ შესაბამისად ერმოლინსკისთან და ცეიტლინთან ყაიმით დაამთავრეს პარტიები. საგულისხმოა, რომ სტურუამ ერთობ გამოიუვალ და ძნელ ვითარებაში გამოძვრა ყაიმის გზა. ასევე ძნელ ვითარებაში შეძლო გურგენიძემ ბაგიროვთან (ლატვია) პარტიის ყაიმით დამთავრება. უბილავა კლოვანს დაუზავდა, ხოლო გუფელდმა დაამთა შეხვედრა კენგისთან. ამრიგად, საქართველოსა და ლატვიის გუნდების მატჩში გამარჯვება ლატვიელებს დარჩათ — 4,5:3,5. გთავაზობთ აგრეთვე დანარჩენი მატჩების საბოლოო შედეგებსაც: სომხეთი-ლენინგრადი — 2:6, ლატვია-მოსკოვი — 3,5:4,5, სომხეთი — უკრაინა — 4:4, მოსკოვი — უკრაინა 3,5:3,5 (ერთი პარტია კვლავ დაუმთავრებელი დარჩა), გუშინ გაიმართა ფინალური ექვსეულის მეოთხე ტურის მატჩები. საქართველოს ნაკრები ხედებოდა მოსკოვის ძლიერ გუნდს. ამ ტურის დაწყების წინ მოჭადრაკეთა ნაკრები კოლექტივების სატურნირო მდგომარეობა ასეთი იყო: მოსკოვი — 13 ქულა (1 გადადებული პარტია), საქართველო — 13, ლენინგრადი — 12,5, ლატვია — 12, უკრაინა — 11,5 (1), სომხეთი — 9.

**მრგვალ ხტენდზე** სროლაში ექვსი სერიის გავლის შემდეგ დაჯამდა გუნდური შეჯიბრება ამ სახეობაში. აზერბაიჯანის ნაკრებმა 580 ქულა დააგროვა და პირველობა მოიპოვა. ყაზახეთისა და საქართველოს გუნდებს ქულათა თანაბარი რაოდენობა (579-579) აღმოაჩნდათ და ვინაიდან ბოლო სერიაში ყაზახებს უკეთესი შედეგი ჰქონდათ, მეორე ადგილი მათ მიეკუთვნათ. საქართველოს სნაიპერებმა გუნდურ შეჯიბრებაში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ექვსი სერიის ჯამით ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების წევრებს ასეთი შედეგები ჰქონდათ: ტ. ეღენტი — 146 ქულა, თ. ომნიაშვილი და გ. შენგელია — 145-145, თ. მატოიანი — 143. გუშინ კიდევ ორი სერია გაიმართა და მას უნდა გაერკვია პირად პირველობაში გამარჯვებულის ვინაობა.

გრძელდება სასპარტაკიადო შეჯიბრება **კლასიკურ ჭიდაობაში.** 48 კგ წონითს კატეგორიაში ფინალის გზა გაიკვლია თ. ყაზარაშვილმა. მან მეოთხე და მეხუთე წრის შეხვედრები ბ. ტამოიანთან (სომხეთი) და ი. იუმაევთან (აზერბაიჯანი) ქულებით მოიგო და ახლა ფინალში მოსკოველ ვ. საკრუკს შეხვდება. საქართველოს ნაკრების მეორე წარმომადგენელმა გ. მაჭარაშვილმა (62 კგ) მეოთხე წრეში დაამარცხა ა. გეეორქიანი (უზბეკეთი), მაგრამ მეხუთე წრეში მოსკოველ სვირიდოვთან წააგო ორთაბრძოლა და ახლა იგი მეხუთე ადგილისთვის იასპარეზებს. ამ ეტაპზე მისი მეტოქე იქნება ა. ლიტვინოვი (რსფსრ). ზ. ივანაშვილმაც (90 კგ) ერთი ორთაბრძოლა მოიგო (ესტონელ მ. ლინასთან) და ერთიც წააგო (ბელორუსელ ი. კანიგისთან). ივანაშვილმა მესამე ადგილისათვის ორთაბრძოლაში მონაწილეობის უფლება მიიღო.

დაიწყო შეჯიბრება კიდევ სამ წონითს კატეგორიაში (52, 74 და 100 კგ) ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა საქართველოს სახელოვანმა ფალავანმა ვახტანგ ბლაგიძემ. მან ჯერ მ. პროკოპიევი (ყაზახეთი) დაამარცხა ქულებით, შემდეგ კი ნ. ნიკოლაევი (ლატვია) — ამჯარა უპირატესობით. ასევე ორი შეხვედრა მოიგო სტარტზე დავთ ლატარიამ (74 კგ) — ლ. ზაუბეკოვთან (ტაჯიკეთი) და ს. კუშინთან (ლენინგრადი). არ გაუმართლა ჩვენს ცნობილ ფალავანს მიხეილ სალაძეს (100 კგ). მას პირველსავე წრეში ერთობ ძლიერ მეტოქესთან მ. ავდიშვილთან (უკრაინა) მოუწია შეხვედრა და ქულებით წააგო. ეს იყო მართლაც დასანანი მარცხი, მაგრამ, რას იზამ. სამაგიეროდ, მეორე წრეში სალაძეს ერთი წუთიც არ დასჭირდა იმისათვის, რომ წმინდად დაემარცხებინა ვ. ბარდაკოვი (ყირგიზეთი). საქართველოდან ამავე წონაში ასპარეზობს აგრეთვე უშანგ თევდორაძე. მან პირველი ორი შეხვედრა მოიგო ა. მინასიანთან (სომხეთი) და ვ. პოკატილოსთან (მოლდავეთი).

**ბალახის ჭოკეიში** მიმდინარე ტურნირების მორიგი მატჩები საქართველოს ნაკრებმა გუნდებმა აზერბაიჯანელებთან წააგეს: ვაჟებმა ანგარიშით 0:3, ქალებმა — 1:5.

**ჯ. ენუქიძე.**

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ქ. მოსკოვი.

# სატურნირო ორბიტა

**ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ.** სუმში (უკრაინის სსრ) გაიმართა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ პირველობა იუნიორთა შორის. უფროსთა ჯგუფში (1965-1966 წლებში დაბადებულნი) პირველი იყო ზანდა ფოცხვერია, ეიქებში ბრინჯაოს დაეუფლა გელა ელერდაშვილი. ფოცხვერია-ელერდაშვილმა გაიმარჯვეს შერეულ წყვილთა ასპარეზობაში. გ. ელერდაშვილმა თავის ძმასთან იოსებთან ერთად ვერცხლი მოიპოვა წყვილთა თანრიგში.

**ᲤᲝᲗᲒᲣᲠᲗᲘ.** ჩვენს ქვეყანაში ამხანაგური შეხვედრებს მართავს იორდანიის ნაკრები. სტუმრები დუშანბეში შეხვდნენ ადგილობრივ „პამირს“ და დამარცხდნენ ანგარაშითი 1:2.

**სასამართლო დარბაზიდან**

# ავკაცები

**ᲤᲐᲠᲬᲣᲚᲨᲘ** ორჯერ ნასამართლევმა ავთანდილ თოფჩიშვილმა თითქოს დაუდო გული პატიოსან ცხოვრებას, დაცოლშვილდა, მუშობაც დაიწყო მებუფეტედ ალგეთის საბჭოთა მეურნეობის პავილიონში, მაგრამ 45 წლის კაცმა ერთბაშად მოინდომა გამდიდრება. გაახსენდა ქ. კუსტანაიში მცხოვრები თავისი მეუღლის ბიძაზურაბ ლომთათაძე და მისი გაქურდვა განიზრახა.

ა. თოფჩიშვილი დაუკავშირდა ნასამართლევს, უმუშევარს, ქ. ხაშურში მცხოვრებ, 1958 წელს დაბადებულ გელა ვახტანგის ძე კავთელაშვილს, ნასამართლე ვ ს, უმუშევარს, ხაშურის რაიონის სოფელ ჩუმათელეთში მცხოვრებ 1959 წელს დაბადებულ არსენ დავითის ძე ულუმბელაშვილს და სამივენი შარშან ივნისში ჩავიდნენ კუსტანაიში.

დილით შეათვალიერეს ლომთათაძის ბინა და კონკრეტული როლებიც გაინაწილეს: თოფჩიშვილმა მეთვალყურეობა ამჯობინა და გარეთ გაჩერდა, ცივი და ცეცხლმსროლელი იარაღით შეიარაღებულმა კაკუთელაშვილმა და ულუმბელაშვილმა კი ზარი დარეკეს, კარი ოჯახის დისახლისმა, ზურაბ ლომთაძის მეუღლემ ქინვერ თორაძემ გაუღო. მისულებმა თავი ზ. ლომთაძის ახლობლებად გასაღეს.

მასპინძელმა შეიპატიჟა მშობლიური ქვეყნიდან ჩასული „სტუმრები“. დისახლისმა მისულთა პატივსაცემად სუფრის გაშლა დაიწყო თუ არა, მოულოდნელად ხელები მოუგრიხეს, ზეწრით შეკრეს, პირში ჩვრები ჩასჩარეს და იატაკზე დააგდეს, ორი მცირეწლოვანი ბავშვი კი სავარძლებს მიაბეს და პირზე ლეიკოპლასტირები დააკრეს...

ბანდიტებმა ზ. ლომთაძის ბინიდან გაიტაცეს 50 ათას მანეთზე მეტი ფული და ძვირფასი ნივთები.

კუსტანაისა და თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოების სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებათა მუშაკების ერთობლივი, დაუღალავი მუშაობით ბოროტმოქმედთ მალე მიაგნეს. მათი დანაშაული დადასტურდა როგორც წინასწარი, ისე სამსჯავრო გამოძიების დროს, და ავკაცები ღირსეულად დაისაჯნენ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით გ. კაკუთელაშვილს 10 წლის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომაგასწორების კოლონიაში მოხდით. ასევეთვე რეჟიმის კოლონიაში მოიხდიან პატიმრობას ა. ულუმბელაშვილი და ა. თოფჩიშვილი, პირველი — 11 წელს, ხოლო მეორე 12 წელს.

**რ. ვარაზაშვილი.**

ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო მოსამართლე.

**რედაქტორი**

**გ. ბედინეიშვილი.**


ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

27 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ

## მოსკოვი

**პირველი პროგრამა.** 9.00 „ვრემია“. 9.45 — სპარტაკიადის დღიური. 10.00 — მოზაურთა კლუბი. 11.00 — მხატვრული ტელეფილმი „მიწის მარილი“, პირველი სერია. 12.05 — „ნორჩთა შემოქმედება“. 12.35 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმები. 16.30 — ი. ს. ბახის პრელუდიები. 16.55 — ბურატინოს გამოფენა. 17.25 — ახალი ამბები. 17.30 — „ცოფნა ძალაა“. 18.15 — გამოგვეხმაურეთ, მეუკეთნო! 19.00 — თანამეგობრობა. ტელეჟურნალი. 19.30 — მულტფილმი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — დოკუმენტური ტელეფილმი. 20.55 — „მიწის მარილი“, მეორე სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — დოკუმენტური ტელეფილმი „მღვრის ერნსტ ბუში“ (გდრ). მე-3 ფილმი. 23.35 — დღეს მსოფლიოში. 23.50 — მე-6 სპარტაკიადა. ძალოსნობა. 00.15 — სპარტაკიადის დღიური.

**მეორე პროგრამა.** 10.30 — სახვითი ხელოვნების საკავშირო კვირეული ლატვიაში. 11.10 — კინოფილმი. 11.50 — „სამართლის გაკვეთილი“. 12.15 — თქვენთვის, მშობლებო! 12.45 — მულტფილმები. 13.05 — ფილმი — ბავშვებს. 14.10 — მე-8 სპარტაკიადა. კლასიკური ჭიდაობა. 14.40 — გერმანული ენა. 20.30 — სპორტული ინფორმაცია. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ფილმი.

## თბილისი

**პირველი პროგრამა.** 9.00 „ვრემია“. 9.45 — სპორტული ინფორმაცია (მ.). 10.00 — „მომამბე“. 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბიჭუნები ზღვაზე ოცნებობენ“. 11.00 — მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო: სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „როგორ ეძებდა სულელი ივანუშკა საოცრებას“. 12.30 — „ახალი წიგნები“. 13.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ავთო ვარაზი“. 13.30 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კოშკური“. 14.10 — „საბჭოთა კავშირის ხალხთა მე-8 საზაფხულო სპარტაკიადაზე“ — კლასიკური ჭიდაობა (მ.). 17.05 — ჩვენს დიდ სამშობლოში — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რუსეთის კუთხე“. 17.30 — „მხიარული შეჯიბრება“. 17.55 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.25 — „ამაგდარი“ — გივი ამირანაშვილი. 18.45 — გაბმხადებები, 18.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დუელი“. 19.05 — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის — „სიყვარულით უთქვამს სტუმარს“. 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „სოფლის სადღეისო საზრუნავი“. 20.35 — „ცერიდენას ეკრანი“. 20.55 — „რედაქციაში წერილი მოვიდა“. 21.40 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. 21.55 — „ზვალ — ტელეეკრანზე“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ვაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“. მე-6 სერია. 23.50 — საბჭოთა კავშირის ხალხთა მე-8 საზაფხულო სპარტაკიადაზე — ძალოსნობა (მ.). 00.15 — სპორტული ინფორმაცია (მ.).

**მეორე პროგრამა.** 17.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიძღვნა“, 17.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბრდადეგები“. 18.15 — განცხადებები. 18.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ინჟინრები“.



**საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, პარტიული კომიტეტი, გაერთიანებული პროფკომი და დასავლეთ ევროპის ენების და ლიტერატურის ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაცვალა ინგლისური ფილოლოგიის კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**მერი ვახტანგის ასული იანკოშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**



**„ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“** ეკრანზე ასახვა ქართული მხატვრული კინოხელოვნების უზენაეს დანიშნულებად და საზრუნავად რჩება დღეს და სამომავლოდ. როგორც ცნობილია ამ ცოტა ხნის წინათ კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ გაიმართა მოლაპარაკება იაპონის სატელევიზიო კინოფირმის „აისტის“ პრეზიდენტთან კუსაკა სანთან, — რომ მათთან თანაზიარად გადაღებულ იქნეს სამსაათიანი თითოსერიიანი მულტიპლიკაციური ფილმების ციკლი „ვეფხისტყაოსანი“...

მკითხველისათვის უინტერესო არ იქნება მცირე ექსკურსი: ჯერ იყო და, შალვა დადიანმა — ქართული კინოს ერთ-ერთმა ფუძემდებელმა — განიზრახა „ვეფხისტყაოსანი“ დადგმულიყო. მან ლიტერატურული სცენარი დაწერა, მაგრამ ამ განზრახვას ასრულება არ ეწერა. შემდგომში ცნობილმა ქართველმა კინორეჟისორმა და მსახიობმა კოტე მიქაბერიძემ სცადა და გადაიღო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქაჯეთი“, რომელშიც ქაჯეთთან ბრძოლა და ნესტანდარეჯანის გამოხსნის ეპიზოდი აისახა. მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი მსახიობები თამარ ციციშვილი და კოსტა ყარალაშვილი.

ასევე დაინტერესა „ვეფხისტყაოსანმა“ საზღვაგარეთელი კინოს ოსტატები. მუნჯი კინოს ცნობილი რეჟისორი ერსტ ლიუბიჩი საკმაოდ მიუახლოვდა მიზანს, ოღონდ სხვადასხვა მიზეზთა გამო ეერა და ვერ განახორციელა ჩანაფიქრი. ერთხანს გიორგი მდივანმა და რეზო ჩხეიძემ მოიალაპარაკეს განმაურებულ „ვატერლოოს“ და სხვა ფილმების ცნობილ დამდგმელ პროდიუსერთან, იტალიელ დინო ლაურენტუსთან მხატვრული ფილმის „ფორე მოსულიშვილის“ ერთობლივი დადგმის თაობაზე და მან „ვეფხისტყაოსანს“ გადაღების სურვილიც გამოთქვა! აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთული კინორეჟისორები პოეტაში და საქართველოს ცნობაში, პირველ ყოვლისა, ჭვრეტდნენ ეგზოტიკას, და არა პოემის ღრმა ფილოსოფიურ, ეთიკურ და ესთეტიკურ არსს.

დღითი დღე მატულობს ყველა დიდი ერის სურვილი, ეკრანზე აამატყველოს კლასიკური ლიტერატურული ნაწარმოებები: ინგლისში — თეკერეის, დიკენსის, შექსპირის ნაწარმოებები, საფრანგეთში — ბალზაკის, ჰიუგოს, დიუმასი, იტალიაში — დანტესი, რუსეთში — ტოლსტოის, დოსტოევსკის, ჩეხოვისა. ესპანელებმა დონ კიხოტზე მხატვრული ფილმების მრავალგზის შექმნის მიუხედავად, ახლახან გადაიღეს „დონ კიხოტის“ ნახატი ფილმების ათაათ წუთიანი ოცდაექვსი სერია.

ახლა კი სიტყვა მივცეთ თვით **ᲯᲣᲜᲘᲩᲘ ᲮᲐᲜᲗᲐ,** — იაპონური კინოფირმა „აისტის“ პრეზიდენტს:

— **ᲠᲐᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ** ყოვლისა, გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს მსურს მოვახსენო აზრი იმის თაობაზე, რომ თქვენი ქვეყანა — საქართველო, და ჩემი ქვეყანა — იაპონია უდიდესი ისტორიისა და კულტურის მქონე სახელმწიფოები გახლავთ. პირველ ყოვლისა, ამან განაპირობა თქვენი ერის ყველა დროის ყველაზე მნიშვნელოვანი და უკვდავი ლიტერატურული შედეგრით — „ვეფხისტყაოსნით“ ჩვენი დაინტერესება. იაპონიაში კარგად იცნობენ ქართულ კინოხელოვნებას; რეზო ჩხეიძის „ჯარისკაცის მამას“, „ნერგებს“, გიორგი შენგელაიას „ფიროსმანს“. მომდინარე წელს იაპონიაში მოიწყო ნიკოლოზ შენგელაიას შემოქმედების რეტროსპექტული ჩვენება, დაგვახსომდა ფილმები „ელისო“, „26 კომისარი“. ჩვენ ვანდობთ და ვთხოვთ „ქართულ ფილმს“, ქართველ კინორეჟისორებს, ერთობლივად, ჩვენი ტექნიკური მესაძლებლობების გამოყენებით, დაფინანსებით, გადავიღოთ მრავალსერიანი ნახატი ფილმი „ვეფხისტყაოსანი“, რომლის ეკრანისეული დრო სამი საათით განისაზღვრება. იმედია, ეს ჩვენი ერთობლივი კინოვერსია მთელი მსოფლიოს სატელევიზიო ეკრანებზე ამტყველებდა და ქართველი ერის სიბრძნისა და ერთგულების, ზნეობის სამყაროსა და სულის მდგრადობის, კაცთმოყვარეობის გაკვეთილებს გადმოსცემს, იაპონიისა და სხვა ხალხისათვის ესოდენ სანატრელ და საოცნებო მაგალითებზე იქადაგებს. შემთხვევითი არ არის, რომ თქვენი მხრივ „დონ კიხოტით“ დაინტერესდით. ორივე ლიტერატურულ ქმნილებას — „ვეფხისტყაოსანსაც“ და „დონ კიხოტსაც“ შინაგანი დრამატიზმი აახლოებს, რაც მხატვრული კინოსათვის ესოდენ ღირებული ნიშან-თვისება გახლავთ, ეს გახლავთ ბეჯიდნელიანობისა და სირთულეების, სულის სიდიადის აქცენტირებული ზნეობრივი მოტივები, ცხოვრების ჯერაც სათუთად მოსავლელი აქტუალური მხარეები, რაც კინოხელოვნების პირადაკუთრული გზების ჩვენებისა და დემონსტრირების საშუალებებსაც იძლევა. გვწამს დასახული ფრიად მნიშვნელოვანი და საჭირო საქმის წარმატება...

წინასწარი მოლაპარაკება იაპონიის კინოფირმას, საკავშირო ტელევიზიასა და „ქართულ ფილმს“ შორის 